პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------სექტემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „„ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს““** მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“** ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“** მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ზერაძე

შეთანხმებულია ლ. კაკრიაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი)
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"

წერილის ნომერი: **13-4821259103**
თარიღი: **16/09/2021**
პინი: **5076**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით 2020 წლის და 2021 წლის პირველ და მეორე კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

პატივისცემით,

გიორგი ხუციშვილი

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი-
მმართველი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6063

ა(ა)იპ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის „

2020 2021 წლის 1-2 კვარტლის შესრულებული სამუშაოს

ანგარიში

მოგახსენებთ , რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში“ 2020 წელს ირიცხებოდა 190 ბენეფიციარი, . მათი კვება ხდება, დღეში ერთხელ, წელიწადში 365 დღე. მათ მომსახურეობას უწევს ა(ა)იპ-ის 9 თანამშრომელი.

სათნოების სახლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, 2020 წელს დაიხარჯა 215105 ლარი .

კვების რაციონს შეადგენს : კვირაში 4 ჯერ ხორცის კერძი , წვნიანები , წიწიბურას, ბრინჯის და ვერმიშელის ფაფები, კვერცხი , ლობიო, მაკარონი , ყველი. 250 გრამი პური ერთ ბენეფიციარზე და ხილის კომპოტი.

2020 წელს ერთ ბენეფიციარზე დღეში იხარჯებოდა 1,85 ლარი.

ჩავატარეთ მცირე კოსმეტიკური რემონტი, ვინაიდან შენობაში არსებული 2 ოთახი , რომელსაც ფაქტიურად არ ვიყენებდით , ქმნიდა ანტისანიტარიის საშიშროებას. დრესდღეობით ამ ოთახებში განვათავსეთ საწყობი.

ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული სადეზინფექციო სამსახურთან , რომელიც აწარმოებს სადეზინფექციო სამუშაოს . ასევე გვამარაგებს სადეზინფექციო ხსნარით , რომლითაც კვირაში ერთხელ ხდება სამზარეულოს ინვენტარის დამუშავება.

არსებული პანდემიის ფონზე ჩვენს სამსახურს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია საქმიანობა, პირველივე დღეებიდან ავკრძალეთ ადგილზე კვება და გადავედით გატანის სერვისზე.

მარტი, აპრილი , მაისის თვეებში საკვები ადგილზე მიგვქონდა (სახლებში) იმ ბენეფიციარებთან ,ვისაც აქვს გადაადგილების პრობლემა, ან იყო 70 წელს გადაცილებული. ამ ყველაფრისათვის ამოქმედებული გვქონდა მოხალისეთა სისტემა, რაშიც რიგითი მოქალაქეები და სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სამსახურები გვეხმარებოდნენ

2020 წლის 1 ივნისიდან ავამოქმედეთ შინ მოვლის პროგრამა, რითაც დღემდე სარგებლობს 20 ზე მეტი ბენეფიციარი, ეს პროგრამა გათვლილია კვირაში 3 დღეზე,

თუმცა, შექმნილი პანდემიის ფონზე , ყოველდღიურად ვაწვდით საკვებს და სხვა სერვისებს .

ჩვენი სამსახური აქტიურადაა ჩაბმული საქველმოქმედო საქმიანობაში, როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტში მოქმედებს, რამოდენიმე საქველმოქმედო ფონდი, თითქმის ყველა ეს ფონდი თანამშრომლობს ჩვენს სამსახურთან, მათთან ერთად ,დღემდე, აქტიურად ვეხმარებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

2020 წელს კვებაში დაიხარჯა- 136524 ლარი.

შრომის ანაზღაურებაში- 57944 ლარი

კომუნალურ და სხვა ხარჯებში (დენი, წყალი, გაზი, სანიტარული საგნები, საკანცელარიო, საყინულის შეძენა, მცირეფასიანი ინვენტარი. ჯამში 14456 ლარი.

რემონტში 2798 ლარი.

საწვავი და ავტომობილის მოვლა პატრონობა- 3383 ლარი.

2021 წლისათვის გამოცხადებული 5 ტენდერი „შედგა“ . დავასრულეთ 2020 წლის ნოემბრის თვეში. 5-ივე მომწოდებელთან გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები.

2021 ბიუჯეტი შეადგენს 249600 ლარს. აქედან პირველ მეორე კვარტალში დახარჯულია, 108787 ლარი.

კვებაში დაიხარჯა 68452 ლარი.

შრომის ანაზღაურება- 30300ლ.

სხვადასხვა ხარჯი(დენი, წყალი, გაზი, საკანცელარიო, ა.შ.)- 6599 ლარი

საწვავი და ავტომობილის მოვლა პატრონობა, - 3436 ლარი.

სათნოების სახლი მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

ადრესატი:

ლაშა კაკრიაშვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212601**
თარიღი: **17/09/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ლაშა კაკრიაშვილს

ბატონო ლაშა,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს -**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ“,** კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

6039

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „„ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს**““ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“** ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს“** მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

6060

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2021 წლის 24 სექტემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
ლაშა კაკრიაშვილი

6061